**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს**
**გადაწყვეტილება № 565**

(ოქმი №499)

თბილისი

2023 წლის 2 ნოემბერი

**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115 – 121 მუხლების (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX) თანახმად,

1. მიღებული იქნას სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი თანდართული სახით;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით;
3. წინამდებარე გადაწყვეტილება და "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი განთავსდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე (www.1tv.ge) და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge);
4. ინფორმაცია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ) განთავსდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე (www.1tv.ge) საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge).

დანართი:

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი (5 ფურცლად);
2. ინფორმაცია "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი კოხრეიძე

თამილა დოლიძე

გრიგოლ მურღულია

ბონდო მძინარაშვილი

ლაშა ტუღუში

ზაზა აბაშიძე

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

იზაბელა ოსიპოვა

პროექტი

# სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2024-2025 წლების

# პროგრამული პრიორიტეტები

## შესავალი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20(1)) მიხედვით, „სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამულ პრიორიტეტებს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების, მათ შორის, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების, მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების, გათვალისწინებით“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მენჯმენტმა უნდა უზრუნველყოს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 12.03.2009წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შიდა ლოკალური აქტებით განსაზღვრული შემდეგი ვალდებულებების შესრულება:

- პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი, მათ შორის, სოციალურ მედიაში და საჯაროდ აქტივობისას საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომელმა არ გამოხატოს პოლიტიკური პრეფერენციები, არ გააკეთოს დადებითი ან უარყოფითი განცხადები, რომლებსაც შეუძლიათ მისი მიუკერძოებლობის და ობიექტურობის ეჭვქვეშ დაყენება, არ უნდა გამოაქვეყნოს არც ერთი მასალა (მათ შორის, ფოტო და ა.შ.), სადაც გამოხატული იქნება პოლიტიკური შეხედულებები ან/და დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური პარტიის/პოლიტიკოსის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების, არასამთავრობო სექტორის ან სხვა ინტერესთა ჯგუფის/ჯგუფის წევრ(-ებ)ის მიმართ, რათა ყველა ამგვარი ჯგუფის წევრი გრძნობდეს, რომ მის მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო არის მიუკერძოებელი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;

- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები და უზრუნველყოს მათთვის ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი წვლილის პოპულარიზაცია, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საზოგადოების პერიოდული ინფორმირება;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ;
- საგანგებო სიტუაციის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისათვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა.

## თემატური ვალდებულებები

საქართველოს პირველ არხის მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 12.03.2009წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შიდა ლოკალური აქტებით განსაზღვრული შემდეგი თემატური ვალდებულებების შესრულება:

- პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები;

- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი, მათ შორის, სოციალურ მედიაში და საჯაროდ აქტივობისას საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომელმა საჯაროდ არ გამოხატოს პოლიტიკური პრეფერენციები, არ გააკეთოს დადებითი ან უარყოფითი განცხადები, რომლებსაც შეუძლიათ მისი მიუკერძოებლობის და ობიექტურობის ეჭვქვეშ დაყენება, არ უნდა გამოაქვეყნოს არც ერთი მასალა (მათ შორის, ფოტო და ა.შ.), სადაც გამოხატული იქნება პოლიტიკური შეხედულებები ან/და დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური პარტიის/პოლიტიკოსის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების, არასამთავრობო სექტორის ან სხვა ინტერესთა ჯგუფის/ჯგუფის წევრ(-ებ)ის მიმართ, რათა ყველა ამგვარი ჯგუფის წევრი გრძნობდეს, რომ მის მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო არის მიუკერძოებელი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები და უზრუნველყოს მათთვის ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი წვლილის პოპულარიზაცია, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საზოგადოების პერიოდული ინფორმირება;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ;
- საგანგებო სიტუაციის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისათვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ჟურნალისტური გამოძიება. ჟურნალისტური გამოძიება როგორც გახმაურებულ ამბებს, შემთხვევებ, ისე თემებს უნდა იკვლევდეს ისეთ თემებს, რომლებიც კანონის

უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევებს და სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად აქტუალურ სხვა საკითხებს ეხება.

- ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტების წარმოება და შეძენა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებათა სწავლებაზე, პოპულარიზებაზე, საზოგადოების ინფორმირებაზე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების და მდგომარეობის შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს უმთავრესი ვალდებულებაა, აღმოაჩინოს, დაინახოს და დაგვანახოს დღეს არსებული ყველაზე მტკივნეული პრობლემები, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და მუდმივად წარმოაჩინოს ამ პრობლემების მოგვარების გზები, ასახავდეს აქტუალური თემების მრავალფეროვნებას, უზრუნველყოფდეს მოსახლეობის ინფორმირებას და განათლებას ამ მიმართულებით.

## მაუწყებლის ძირითადი სამოქმედო პრიორიტეტები

მომდევნო 3 წლის განმავლობაში სამეურვეო საბჭო ბიუჯეტის დამტკიცებისას და სხვა გადაწყვეტილებების მიღებისას უპირველესად იხელმძღვანელებს შემდეგი სტრატეგიული მიზნებით:

1. საყოველთაო წვდომა: მაუწყებლის ყველა პლატფორმისა და პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობრივი ზრდის უზრუნველყოფა როგორც კომბინირებულ მაჩვენებლებში (სატელევიზო, რადიო და მულტიმედიური არხები), ასევე ცალკე, პირველი არხის მაყურებლების მაჩვენებლებში;
2. საყოველთაო მომსახურება: მრავალფეროვანი აუდიტორიის, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აუდიტორიის წარმოჩენა. ამ მიზნით პროდუქცია და ხარჯები უნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვაჯგუფის, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შშმ პირების, რეგიონის მოსახლეობის ჩართულობისთვის;
3. თვალთახედვების მრავალფეროვნება: საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა მსოფლმხედველობის, მოსაზრების, ფასეულობის და საჭიროების ასახვა და წარმოჩენა;
4. საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, საზოგადოებრივი პოლიტიკური პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა;
5. ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის (საგანმანათლებლო, გასართობი, სხვა) პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა;
6. ტელესკოლის, როგორც საგანმანათლებლო და შემეცნებითი პლატფორმის კონცეფციის შემუშავება და განვითარების გეგმის მომზადება;
7. პროდუქციის ხარისხის, მრავალფეროვნების და ზეგავლენის წლიდან წლამდე ზრდა, მათ შორის, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის პროდუქციის სანდოობის ზრდის უზრუნველყოფა;
8. არქივი - არქივის გაციფრულების და შენახვის შემდგომი უზრუნველყოფა.

კანონით გასაზღვრული მოთხოვნების გარდა, სამეურვეო საბჭო საქართველოს პირველი არხის გენერალურ დირექტორს და მთლიანად მენეჯმენტს 2024-2025 წლების უმთავრეს ამოცანად უსახავს ახალ შენობაში გადასვლის პროცესის სწორად დაგეგმვას, ორგანიზებას და ფინანსურ უზრუნველყოფას.

# პროგრამული პრიორიტეტები

გარდა ამისა, სამეურვეო საბჭო კანონით განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამოყოფს რამდენიმე პროგრამულ პრიორიტეტს და პირველი არხის გენერალურ დირექტორს ავალებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათ შესრულებას:

- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების და, განსაკუთრებით, ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციის/გაწევრიანების პოპულარიზაცია;
- მაქსიმალურად გამოიყენოს მაუწყებლის ინტელექტუალური, ტექნიკური და ფინანსური რესურსი და ამომწურავად გააშუქოს საარჩევნო კამპანიის მსვლელობა, აგრეთვე, წინასაარჩევნო დებატები;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი, აგრეთვე, ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას.
- უზრუნველყოს აუდიტორიაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების. ნოვაციებისა თუ ტენდენციების შესახებ მრავალმხრივი სამეცნიერო და პოლიტიკური ცოდნის/ცნობიერების აკუმულირება მაუწყებლობაში „განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე" პრინციპის დანერგვის გზით;
- გააძლიეროს ჰიბრიდულ გამოწვევებთან პროაქტიული საინფორმაციო ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის საკითხების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების, ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობის, მათ შორის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარების, ასევე სამშვიდობო პროცესების გაშუქების გზით.

## ინფორმაცია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს "2024-2025 წლების

## პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

## (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ)

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 02 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" (მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. #68) დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16, მე-20 და 30-ე მუხლებიდან გამომდინარე, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე, საზოგადოებას საჯარო განხილვისათვის წარუდგენს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტს (www.1tv.ge და www.ajaratv.ge ვებ-გვერდებზე განთავსებულია ასევე აღნიშნულ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია).

პროგრამული პრიორიტეტების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წერილობით წარმოადგინოთ სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" (მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #68) 20 სამუშაო დღის განმავლობაში (2023 წლის 03 ნოებრიდან 2023 წლის 01 დეკემბრის ჩათვლით).

პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სხდომა ჩატარდება არაუგვიანეს 2023 წლის 08 დეკემბრისა, რომლის თაობაზეც საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2024-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს აღნიშნული სხდომის ჩატარებიდან/დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.